ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2958119

ნომერი: AR1451062

თარიღი : 24.10.2016

გაცემის თარიღი : 22.11.2016

გაცნობის თარიღი : 30.11.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 142 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილი თეთრუაშვილი პ/ნ 01017025686
- თბილისი ძმ.ზუბალაშვილების ქ. N 44

ორგანიზაცია:

- შპს იმპერვეტი კოდი: 202384115

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

• „დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტის pdf ფაილი“-ს ველში დამატებით აიტვირთულ საჯარო რეესტრში დაცული სარეკონსტრუქციო ფართის ანაზომი გეგმასთან ერთად ამავე გეგმაზე დაიტანეთ სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე კიბის და სარეკონსტრუქციო კარის ღიობის კონტური;

• აქვე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში დარეგისტრირებულია 2015 წლის 12 ნოემბრის AR1356219 ელექტრონული განცხადება, სადაც მოქ. გიორგი ბერიაშვილი ითხოვს ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვას. განაცხადის ხელმეორედ წარმოდგენის შემდგომ აღნიშნული საკითხის განსახილველად სამსახურის მიერ ჩაინიშნება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ზეპირი მოსმენის სხდომა. შესაბამისად, საქმის გარემოებების არსებითად გამოკვლევის მიზნით შესაძლებელია სამსახურის მიერ მოხდეს წარმოების ვადის გაგრძელება.

საჭიროების შემთხვევაში, დაზუსტებული ინფორმაცია დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ, გეცნობებათ მითითებული რეკომენდაციის გათვალისწინებით ატვირთული დოკუმენტაციის განხილვის შემდგომ, კანონით დადგენილ ვადაში.

სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დატოვებული იქნება განუხილველი .

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.